USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №50
ნოემბერი, 2023

თბილისი, 2024

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ნიკა ოდიკაძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №50 ბიულეტენს. მასში აღწერილია ნოემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობები

1.1. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ევროკომისიას

2 ნოემბერს 150-ზე მეტმა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ევროკომისიას წერილით მიმართა.[1] ორგანიზაციებმა ევროკომისიას, 12 პრიორიტეტის შესრულების ობიექტური შეფასების პარალელურად, ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად დადებითი რეკომენდაციის გაცემისკენ მოუწოდეს.[2] წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ კანდიდატის სტატუსი დაეხმარებოდა მოსახლეობას საქართველოში რუსულ ინტერესებთან გამკლავებაში, რადგან „მეტი ევროკავშირი ნიშნავ[და] ნაკლებ რუსეთს".[3]

1.2. აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების სპეციალური წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში

6 ნოემბერს საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების სპეციალური წარმომადგენლების დელეგაცია ეწვია.[4] დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილთან, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან.[5]

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ელჩები მიესალმნენ საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ პროგრესს და ქვეყნისთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭებას.[6] შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების ამბიციური დღის წესრიგის წარმატებით განხორციელებისთვის ქვეყნის ევროპული ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესის გაგრძელების მნიშვნელობაზე.[7]

---

[1] „ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ევროკომისიას", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/csMXZ, განახლებულია: 14.12.23.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] „აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების სპეციალური წარმომადგენლები საქართველოს სტუმრობენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/568012, განახლებულია: 14.12.23.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] იქვე.

მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ევროინტეგრაციის გზაზე ქვეყნის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე იმსჯელეს.[8] ირაკლი ღარიბაშვილმა სტუმრებს ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.[9]

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების სპეციალურ წარმომადგენლებს ორბელიანების სასახლეში შეხვდა.[10] შეხვედრაზე მან ხაზგასმით ისაუბრა კანდიდატის სტატუსის მინიჭებისა და, რუსეთის „ქმედებების"[11] ფონზე, ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობაზე.[12]

1.3. ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა

8 ნოემბერს ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ ევროკომისიის მოხსენება გამოქვეყნდა.[13] დოკუმენტის მიხედვით, საქართველოსთვის 2022 წლის ივნისში წარმოდგენილი 12 რეკომენდაციიდან სამი შესრულებულად იყო მიჩნეული.[14] შემდგომი პროგრესის მისაღწევად კი საქართველოს, დანარჩენ რეკომენდაციებთან ერთად, დამატებით ორი ახალი პირობის შესრულება დაევალა,[15] კონკრეტულად: ქვეყანა უნდა შეებრძოლოს დეზინფორმაციასა და უცხოურ ინფორმაციულ მანიპულირებას, ასევე, ევროკავშირისა და მისი ღირებულებების საწინააღმდეგო პროცესებს, იმავდროულად, უნდა გაუმჯობესდეს მისი შესაბამისობა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან.[16]

არჩევნებთან დაკავშირებით დოკუმენტში საუბარია 2024 წლისთვის თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე, ასევე, ვენეციის კომისიის, ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) რეკომენდაციების სრულად გათვალისწინებაზე.[17]

ამ შეფასების საფუძველზე, ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა.[18]

---

[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] იქვე.
[11] 2023 წლის 6 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალის მიმდებარედ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ადგილობრივი მაცხოვრებლის უკანონო დაკავების მცდელობისას, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად, გარდაიცვალა საქართველოს ერთი მოქალაქე, ხოლო მეორე უკანონოდ დააკავეს.
[12] „აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების სპეციალური წარმომადგენლები საქართველოს სტუმრობენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/568012, განახლებულია: 14.12.23.
[13] „საქართველოს პროგრესი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსისკენ: ევროკომისიის შეფასება", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 13 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/569156, განახლებულია: 14.12.23.
[14] 1. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევის კონსოლიდაცია; 2. კანონმდებლობის მიღება, რომელიც მოსთხოვს საქართველოს სასამართლოებს, აქტიურად გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; 3. ახალი სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) დანიშვნის მიზნით, წარდგენის გამჭვირვალე და დამოუკიდებელი პროცესი.
[15] იქვე.
[16] „საქართველოს პროგრესი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსისკენ: ევროკომისიის შეფასება", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 12 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/569156, განახლებულია: 14.12.23.
[17] იქვე.
[18] „ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/568370, განახლებულია: 14.12.23.

გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ კომისია რეკომენდაციას უწევს ევროპულ საბჭოს, საქართველოს მიანიჭოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ერთი პირობით - გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას რეფორმების მიმართულებით.[19]

ევროკომისიის პრეზიდენტის თქმით, ევროკომისრები სრულად უჭერენ მხარს საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის გულწრფელ მისწრაფებას ევროკავშირში გაწევრიანებისკენ, ხოლო ხელისუფლებას მართებს ეს მისწრაფება უკეთესად ასახოს 12 პრიორიტეტის განხორციელების პროცესში და ეროვნული ინტერესების საკითხებში ითანამშრომლოს ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან.[20] სტატუსის მინიჭების შესახებ რეკომენდაციის გაცემას პოლიტიკოსები გამოეხმაურნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მხარდაჭერისთვის მადლიერება გამოთქვა და აღნიშნა, რომ ქვეყანა აგრძელებს სვლას ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისკენ.[21]

მმართველი პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის შეფასებით, კანდიდატის სტატუსის მოლოდინში ქვეყანამ მრავალი სირთულე გამოიარა, მათ შორის, პროცესის საბოტაჟი და რევოლუციის მოწყობის მცდელობა. მან ევროკომისიას „სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის“ მადლობა გადაუხადა და დეკემბერში პოზიტიური დასკვნის გამოცემის იმედი გამოთქვა.[22]

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ლევან ხაბეიშვილის შეფასებით, „ქართველმა ხალხმა პირველი რაუნდი მოუგო რუსულ ოცნებას და რუს ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილს“. მან იმედი გამოთქვა, რომ გაცემული რეკომენდაცია იქნებოდა პირველი წარმატებული ნაბიჯი, რომელსაც „რუსულ პარტიაზე“ გამარჯვება მოჰყვებოდა.[23]

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ ევროპული მისწრაფების მხარდაჭერისა და ბრძოლისთვის მადლობა გადაუხარა ქართველ ხალხს. მისი თქმით, მშვიდობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება მხოლოდ ევროპასთან ერთად არის შესაძლებელი.[24]

ევროპული საბჭო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას 14-15 დეკემბრის სხდომაზე მიიღებს.[25]

2. „გირჩი – მეტი თავისუფლებისა“ და „დროას“ ახალი პროექტი – „საარჩევნო ყუთი შენს ქალაქში“

წინასაარჩევნოდ გაერთიანებული[26] პოლიტიკური პარტიები „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „დრო“ 28 ნოემბერს ახალი ინიციატივით გამოვიდნენ.[27] მათ კამპანია წამოიწყეს სახელწოდებით „საარჩევნო ყუთი შენს ქალაქში“, რომლის მიზანია საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის

[19] იქვე.
[20] იქვე.
[21] „ქართველი პოლიტიკოსები საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას ეხმიანებიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/568532, განახლებულია: 14.12.23.
[22] იქვე.
[23] იქვე.
[24] იქვე.
[25] „ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/568370, განახლებულია: 14.12.23.
[26] „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ საარჩევნო გაერთიანებას ქმნიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/558021, განახლებულია: 14.12.23.
[27] „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ ემიგრანტებს არჩევნებისთვის ახალ პროექტს სთავაზობენ”, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2023 წლის 28 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/kovy6, განახლებულია: 14.12.23.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმის მიცემის პროცესის მაქსიმალურად გამარტივება და მასში მონაწილეობის წახალისება.[28]

ზურაბ გირჩი ჯაფარიძის თქმით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ემიგრანტების აქტიურობას, შესაძლოა, კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს შედეგების განსაზღვრის თვალსაზრისით.[29] ჯაფარიძემ საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს სპეციალური ფორმის შევსებისკენ მოუწოდა, რომელიც, მისი თქმით, პროექტის ჯგუფს მათთან (უცხოეთში მყოფ პირებთან) კომუნიკაციაში დაეხმარება.[30]

ერთი დღით ადრე, 27 ნოემბერს საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.[31] აკადემიური წრის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ არ შეიძლება უცხოეთში მყოფ თანამემამულეებს, „მუდმივად დახმარებას ვთხოვდეთ და არ ვაძლევდეთ მათ ამ ელემენტარულ უფლებას, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას“.[32]

3. ნიკა მელია ნაციონალური მოძრაობის წევრი აღარ არის

26 ნოემბერს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ლევან ხაბეიშვილმა ტელეკომპანია ფორმულას პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ პარტიის ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია პარტიის რიგებში აღარ ირიცხება.[33] ხაბეიშვილის სატელევიზიო გამოსვლას პარტიის ოფიციალური განცხადება მოჰყვა, რომელშიც კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ნიკა მელია არ შეუერთდა მიხეილ სააკაშვილის ინიციატივითა და ავტორობით გამოქვეყნებულ პარტიის ერთობის მანიფესტს[34] და ის არ წარმოადგენს „ნაციონალურ მოძრაობას“.[35]

„ნაციონალურ მოძრაობაში“ შიდაპარტიული უთანხმოების შესახებ ჯერ კიდევ 2022 წლის სექტემბერში გახდა ცნობილი, მას შემდეგ, რაც ნიკა მელიამ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში პარტიაში არაფორმალური მმართველობის არსებობის საფრთხეზე ისაუბრა.[36]

2023 წლის 28-29 იანვარს გამართული შიდაპარტიული არჩევნების შედეგად კი, „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი თავმჯდომარე, ამომრჩევლის ხმების 52.58%-ით, ლევან ხაბეიშვილი გახდა.[37]

---

[28] იქვე.
[29] იქვე.
[30] იქვე
[31] „პრეზიდენტი მეცნიერებს - ევროპა ჩვენი მომავალია!“, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 27 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/AOX38, განახლებულია: 14.12.23.
[32] იქვე.
[33] „ხაბეიშვილი: ნიკა მელია არ წარმოადგენს ნაციონალურ მოძრაობას, აღარ არის პარტიის წევრი“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, 2023 წლის 27 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/102099, განახლებულია: 14.12.23.
[34] „ნაციონალური მოძრაობა 11-პუნქტიან მანიფესტს აქვეყნებს“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, 2023 წლის 22 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/101893, განახლებულია: 14.12.23.
[35] „ხაბეიშვილი: ნიკა მელია არ წარმოადგენს ნაციონალურ მოძრაობას, აღარ არის პარტიის წევრი“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, 2023 წლის 27 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/102099, განახლებულია: 14.12.23.
[36] „ნიკა მელიას თქმით, დავით კეზერაშვილთან პარტნიორობა სახიფათოა პარტიისთვის“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 25 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32051157.html, განახლებულია: 14.12.23.
[37] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალი თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი გახდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 30 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/522935, განახლებულია: 14.12.23.

4. საქართველოს პარლამენტმა ე.წ. ლამინირებული პირადობის მოწმობით ხმის მიცემის კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო

15 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა 77 ხმით, პირველი მოსმენით, მხარი დაუჭირა დეპუტატ ფრიდონ ინჯიას საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის თანახმადაც, არაელექტრონული პირადობის მოწმობის მქონე მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ.[38]

საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი დოკუმენტის საკითხი 2022 წლის დეკემბერში, საარჩევნო კანონმდებლობაში შესული ცვლილების შედეგად, ახლებურად დარეგულირდა და განისაზღვრა, რომ 2024 წლის საერთო საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველი ხმის მიცემას მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის შემთხვევაში შეძლებდა.[39]

საქართველოს სახალხო დამცველის, ლევან იოსელიანის შეფასებით, საარჩევნო უფლება კონსტიტუციური უფლებაა და ის არ შეიძლება შეიზღუდოს. მისი მოსაზრებით, ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება იმ საბუთით, რომელიც მას გააჩნია.[40]

ცესკოს თავმჯდომარის ოპოზიციონერი მოადგილის, გიორგი სიორიძის შეფასებით, არჩევნებზე ხმის მიცემა აბსოლუტური უფლება არ არის და ვისაც მასში მონაწილეობა სურს, ელექტრონული პირადობის მოწმობა უნდა აიღოს. სიორიძემ მაგალითად მოიყვანა ქვეყნის დატოვების უფლება, რომლის რეალიზებისთვის მოქალაქე ვალდებულია, იქონიოს ბიომეტრიული პასპორტი.[41]

---

[38] „პარლამენტმა ფრიდონ ინჯიას საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც არაელექტრონული პირადობის მოწმობის მქონე მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ, პირველი მოსმენით მიიღო“, საინფორმაციო პორტალი ინტერპრესნიუსი, 2023 წლის 15 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/jsAQ0, განახლებულია: 27.12.2023.

[39] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის მე-19 პუნქტი, 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, 76^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

[40] „ხმის მიცემა ძველი პირადობებით — რა ეტაპზეა ფრიდონ ინჯიას ინიციატივის განხილვა“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 2023 წლის 16 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/lptIP, განახლებულია: 27.12.2023.

[41] „ძველი პირადობის მოწმობებით ხმის მიცემის თაობაზე ინიციირებულ ცვლილებებში არჩევნების გაყალბების საფრთხეს ხედავენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 15 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/571589, განახლებულია: 27.12.2023.